
რომში ეკატერინეს ტაძრის სასაყდრო დღესასწაულთან დაკავშირებულ ზეიმს ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი წარუძღვა



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 04.12.2022. 4 დეკემბერს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარდმიყვანების დღესასწაულზე საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, იტალიაში მოსკოვის საპატრიარქოს სამრევლოების მმართველმა, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ანტონიმ საღმრთო ლიტურია აღავლინა რომის წმინდა დიდმოწამე ეკატერინეს ტაძარში.

მეუფე ანტონი წინადღით ჩაფრინდა აპენინებზე მოკლე ვიზიტით.

შემოღებული ტრადიციის თანახმად, ტაძრის სასაყდრო დღესასწაულის საზეიმო აღნიშვნა სამრევლოს წმინდა ზეციური მფარველის ხსენების დღის წინა კვირიაკეს ჩატარდა.

ლიტურგიაზე მღვდელთმთავარს თანამსახურებადნენ სამრევლოს კლირიკოსები მღვდელმონაზონი კირილე (პორუბაევი) და მღვდელი ალექსი მაქსიმოვი, ასევე მილანიდან ჩამოსული დიაკონი რუსტიკ ჩოპენოკი.

საღვთისმსახურო გალობები შეასრულა მგალობელთა გუნდმა რეგენტ მ.მ. კორლიაკოვას ხელმძღვანელობით.

დამსწრეთა შორის ტაძარში იმყოფებოდნენ რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვატიკანში ა.ა. ავდეევი და დიკასტერიის თანამშრომელი ქრისტიანული ერთობისათვის თანადგომის საკითხებში მღვდელი იარომირი ზადრაპა.

ლიტურგიის განტევების შემდეგ აღესრულა სავედრებელი პარაკლისი წმინდა ეკატერინესადმი და შედგა საზეიმო ჯვრით მსვლელობა. შემდეგ, მღვდელთმთავარმა აკურთხა წმინდა დიდმოწამე ძლევაშემოსილი გიორგის ხატი, რომელიც ტაძრის შემომწირველთა მზრუნველობით დაიწერა ტაძრის დღესასწაულის დღისთვის.

ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ მიტროპოლიტმა ანტონიმ გულთბილად მიულოცა მლოცველებს დღესასწაული და ქადაგება წარმოთქვა.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი აპატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით მიტროპოლიტმა დიდებისა და პატივის ორდენის მედალი გადასცა პროფესორ დ.კ. აძაროს ქრისტიანთაშორისი დიალოგის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

დასასრულ, სამრევლოს სატრაპეზოში შედგა სადღესასწაულო მიღება, სადაც გაგრძელდა მიტროპოლიტ ანტონის კომუნიკაცია სასულიერო პირებთან და მრევლთან, – ***იტყობინება*** *პრესნიაზე მდებარე წმინდა იოანე წინამორბედის შობის სახ. ტაძრის საიტი.*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89854/